საქართველოს
პირველი არხი

# პირველი კვარტლის ანგარიში

2020 წელი

# ახალი კორონავირუსი - COVID-19

2020 წლის პირველი კვარტალი საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, იყო ურთულესი პერიოდი ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო.



# პირველი არხი
# შიდა პრევენციული ღონისძიებები

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია პირველი არხის ვალდებულება, „უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ“. პანდემიური საფრთხის პირობებში ორგანიზაციის შრომისუნარიანობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პირველმა არხმა, სამოქმედო გეგმა შეიმუშავა და პრევენციული ზომები გაატარა. პრევენციული ზომების ნაწილი საანგარიშო პერიოდშივე გატარდა. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია იმ შემთხვევისთვისაც, თუ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ქვეყანაში გაუარესდება. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც მოსახლეობა მიიღებს მაღალ პროფესიულ დონეზე მომზადებულ, გადამოწმებულ ინფორმაციას.

პრევენციული ღონისძიების ფარგლებში, თანამშრომელთა ნაწილი დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა. სამსახურებრივი მოვალეობიდან დროებით გათავისუფლდნენ ორსულები, ქრონიკული დაავადებების მქონე თანამშრომლები და სხვა რისკჯგუფში შემავალი პირები.
დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით, „მოამბის“ გუნდი გაიყო ორ ჯგუფად, რომლებიც მონაცვლეობით მუშაობდნენ.
აუდიტორია ინფორმაციას შეუფერხებლად იღებდა როგორც ტელევიზიით, ასევე, რადიოთი - ყოველ საათში ორჯერ და ონლაინ პორტალზე 1tv.ge.

## არხი ინტენსიურად აშუქებდა COVID -19-თან დაკავშირებულ საკითხებს. ჯამში აღნიშნულ თემაზე მომზადდა 10895 ერთეული მასალა და დაეთმო 301 საათი.

### ქრონომეტრაჟი




### რაოდენობა



# პირველი არხი
# ცვლილებები საეთერო ბადეში

პანდემიამ, მუშაობის რეჟიმის გარდა, გავლენა მოახდინა მაუწყებლობის შინაარსობრივ მხარეზეც. ახალი და მიმდინარე ამბების ძირითადი თემატიკა კორონავირუსის გავრცელება და მისი პრევენცია, პანდემიით გამოწვეული პრობლემები და ანტიკრიზისული ღონისძიებები იყო.

პირველი არხი, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, აუდიტორიას სრულად აცნობდა ყველა იმ ნორმატიულ აქტს, რომელთა ძალითაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა ან საკარანტინო შეზღუდვები. მუდმივად მიმდინარეობდა პარლამენტის სხდომების, საკოორდინაციო საბჭოს სხდომებისა და მთავრობის განცხადებების ტრანსლაცია. ყველა ეს ინფორმაცია აუდიტორიას ასევე მიეწოდებოდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

მას შემდეგ, რაც მთავრობის გადაწყვეტილებით, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები კარანტინის ზონად გამოცხადდა, ამ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე შესვლა და იქიდან გამოსვლა ყველას აეკრძალა, მათ შორის მედიას.
საქართველოს პირველი არხი ერთადერთი მედიასაშუალება იყო, რომლის გადამღები ჯგუფებიც უშუალოდ კარანტინის ზონებიდან ინფორმაციას ავრცელებდნენ.

პრევენციული ზომების ფარგლებში, საქართველოს პირველმა არხმა დროებით შეაჩერა გადაცემების ნაწილი, შეიზღუდა სტუმრების რაოდენობა და აუდიტორიის დასწრება.

20:00 საათიანი გასართობი ზოლი ჩაანაცვლა გადაცემამ „პირადი ექიმი მარი მალაზონიასთან ერთად“, რომელიც მთლიანად კორონა ვირუსის პანდემიას ეძღვნებოდა. ამგვარად, პრაიმ ტაიმში გადაინაცვლა გადაცემამ, რომელიც მოსახლეობას პანდემიასთან დაკავშირებული რისკების და მათგანგან თავდაცვის გზების შესახებ სანდო და კვალიფიციურ ინფორმაციას აწვდიდა.

# კარანტინის პირობებში მოქალაქეთა შინ დარჩენის ხელშეწყობის და წახალისების მიზნით განხორციელდა რამდენიმე საგანგებო პროექტი:

## დარჩი სახლში - გაიზიარე პასუხისმგებლობა - ვიდეო მიმართვები მოსახლეობას.

პირველი არხი 2020 წლის მარტიდან  შეუერთდა სამოქალაქო კამპანიას „დარჩი სახლში“ - გაიზიარე პასუხისმგებლობა. კამპანიის მიზანი იყო სამოქალაქო პასუხისმგებლობების გაძლიერება და სამოქალაქო აქტივობის ხელშეწყობა.




## პირველი არხი ბიზნესისთვის

საქართველოს მასშტაბით ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული კარანტინის პერიოდში, საქართველოს პირველი არხი ბიზნეს სექტორს დახმარებას სთავაზობდა – ადგილზე მიტანის სერვისის მქონე კომპანიებისთვის, მაუწყებელმა უფასო კომერციული სარეკლამო დრო (დისტანციური მომსახურების რეკლამირებისთვის) გამოყო.

კომერციული რეკლამა განთავსდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 64(1)-ე მუხლის შესაბამისად. ამ ინიციატივით, მაუწყებელი დაეხმარა კომერციულ სექტორს, რომელსაც ვირუსის გავრცელების შედეგად რთულ პირობებში უწევდა მუშაობა, პარალელურად კი ხელს უწყობდა მოქალაქეთა შინ დარჩენის წახალისებას.




## პროექტი “შენი საქართველო”

პროექტი შენი საქართველო მომზადდა სპეციალურად პანდემიის დროს ხალხის გასამხნევებლად, იმისთვის, რომ ეს პერიოდი (#დარჩისახლში) გამოეყენებინათ საკუთარი კულტურის, ეთნიკური ღირებულებების გასაცნობად. გადაცემაში წამოჭრილი თემები, ბევრ პასუხთან ერთად, ერთგვარ საფიქრალსაც უტოვებდა მაყურებელს. პროექტზე მუშაობდნენ მიშო ჯავახიშვილი და დათო ცინცაძე.

# #ᲓᲐᲠᲩᲘ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ
# ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲨᲔᲜᲡ ᲐᲠᲮᲖᲔ

23:30 საათიანი ზოლისთვის საუკეთესო მხატვრული ფილმების შერჩევის საშუალება თავად მაყურებელს ჰქონდა ონლაინ გამოკითხვის გზით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ




1TV.GE

ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ
ᲛᲔᲓᲘᲐ

## „ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲟᲐᲛᲘᲔᲠᲘ“

**„მრავალჟამიერი“** – ესაა მრავალხმიანი მუსიკალური მიმართვა - „ერთად, ერთმანეთისთვის“. „მრავალჟამიერი“ ანსამბლმა „შავნაბადამ“ საქართველოს პირველი არხის თანამშრომლებთან ერთად შეასრულა. ვიდეო რგოლში გზავნილები 40 ენაზე იყო გაჟღერებული. ამ ფორმით პირველმა არხმა მსოფლიოს „კოვიდ 19“-თან ბრძოლაში მხარდაჭერა გამოუცხადა.

## ᲨᲔᲜ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲠ ᲮᲐᲠ!

**შენ მარტო არ ხარ! - #დარჩისახლში** - ამ გზავნილით, პირველმა არხმა, საშუალება მისცა მოქალაქეებს გამოეგზავნათ პოზიტიური, გამამხნევებელი ვიდეორგოლები, რომლებიც ტელეეთერში და ვებ პლატფორმაზე 1TV.GE თავსდებოდა. პროექტს ბევრი მოქალაქე გამოეხმაურა. იხილეთ ლინკი: https://1tv.ge/sheni-videogzavnili/

## „კაცები ზრუნავენ“

კამპანია **„კაცები ზრუნავენ“** – განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის და არასამთავრობო ორგანიზაციის Care Together მიერ, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

## “რანინას” ჰიმნი

**“რანინას” ჰიმნი** - კორონავირუსის პანდემიის პირველ ეტაპზე, სოციალური პასუხისმგებლობის და კამპანია “დარჩი სახლში” - ფარგლებში მომზადდა “რანინას” მუსიკალური კლიპი, დავით ევგენიძის სიმღერაზე, როელიც შეასრულეს “რანინას” მესამე სეზონის კონკურსანტებმა. მუსიკალური რგოლი მომზადდა დისტანციურად. მისი მიზანი იყო საზოგადოების და განსაკუთრებით სკოლის ასაკის ბავშვების გამხნევება და მოტივირება იზოლაციის პირობებში. “რანინას” მუსიკალური კლიპით გაიხსნა “პირველი არხი - განათლება” და იქცა მის ჰიმნად.

# მუსიკა არღვევს საზღვრებს #სახლიდან - სახლში

ასეთი სლოგანით დაიწყო „აკუსტიკამ“ ახალი სესიების სერია, პანდემიის პერიოდში. მაშინ, როდესაც მოსახლეობა სახლში იმყოფებოდა, გადაცემა „აკუსტიკა“ ეცადა მათ განწყობაზე ეზრუნა და საყვარელი შემსრულებლები ონლაინ ჩაეწერა.
მუსიკოსები სახლის პირობებში წერდნენ ვიდეოებს, ასრულებდნენ ყველასთვის კარგად ცნობილ სიმღერებს. ლაივ სესიები პირველი არხის ყველა პლატფორმაზე, ყოველდღიურად გადიოდა.



# პირველი არხი-განათლება

პირველი არხი
განათლება

ეს არის ინიციატივა, რომელიც ზუსტად ეხმიანება ქვეყნის და ორგანიზაციის უმთავრეს პრიორიტეტს - განათლებას (ქვეყანაში განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია). ეს მასშტაბური პროექტი პირველი არხის უმნიშვნელოვანესი გამოწვევა და პასუხისმგებლობაა.

ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში 21 აპრილამდე გამოცხადდა საგანგებო რეჟიმი. შეჩერდა სასწავლო პროცესი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დიდმა ნაწილმა ვერ მოახერხა სწავლის ონლაინ რეჟიმში გაგრძელება. დისტანციურ სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალურად უზრუნველსაყოფად, განათლების სამინისტროსა და პირველი არხის მიერ მომზადდა პროექტი „**ტელესკოლა**“.

სამინისტროსთან ერთად შეიქმნა გაკვეთილების ცხრილი, რომელმაც კლასების მიხედვით მოიცვა ის საგნები, რომლებიც დამტკიცებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. 30 მარტიდან „მეორე არხი“ გადაკეთდა საგანმანათლებლო პლატფორმად **„პირველი არხი-განათლება“** და დაიწყო მოსწავლეებისთვის სატელევიზიო გაკვეთილების შეთავაზება.

საეთერო ბადე (გაკვეთილების ცხრილი) ყველა კლასის საგანს მოიცავს. ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ტელეგაკვეთილებს სხვადასხვა საგნის გამოცდილი პედაგოგები ატარებდნენ და მოსწავლეებს „ტელესკოლის“ ფორმატს მორგებულ სასწავლო პროგრამას სთავაზობდნენ.

„ტელესკოლის“ გაკვეთილების დაგეგმვისას სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების რეკომენდაციების საფუძველზე ინკლუზიური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ინტერესიც იქნა გათვალისწინებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა გაკვეთილის თარგმნას ჟესტური ენის თარჯიმანი უზრუნველყოფს.

პროექტის პირველ ეტაპზე, ეთნიკური უმცირესობებისათვის ტარდება ქართულის, როგორც მეორე ენის, აზერბაიჯანული და სომხური ენების ტელეგაკვეთილები და აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სხვა საგნების გაკვეთილები.

პროექტი აბიტურიენტის საათის ჩატარებასაც ითვალისწინებს, სადაც შესაბამისი დარგის სპეციალისტები აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის უწევდნენ კონსულტაციას.

გარდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნებისა, არხი მოსწავლეებს სთავაზობს გამამხნევებელ ვარჯიშებს, ცეკვის, ხატვის, ჭადრაკის გაკვეთილებს, ასევე დათო ევგენიძის საავტორო გადაცემას „მუსიკის გაკვეთილები“, „ხალხური სიმღერის გაკვეთილბს“, „მშობლის საათს“, 16 სერიან დოკ. ფილმს „ქართლის ცხოვრება მარიამ ლორთქიფანიძესთან ერთად“ და სხვა შემეცნებით, მხატვრულ თუ დოკუმენტურ ფილმებს. სამომავლოდ, იგეგმება მსოფლიოს საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამების თარგმნა და პროექტის ფარგლებში ჩვენება.

„ტელესკოლა“ დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ფორმატია, რომელიც ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან, საშუალებას აძლევს, ნახოს საინტერესო გაკვეთილები სხვადასხვა საგანში.

გაკვეთილები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ტარდება. პროექტს შაბათსა და კვირას სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამებიც დაემატა. ტელესკოლის გაკვეთილების განრიგი და სხვა დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე: https://www.tvschool.ge/

პროექტი „ტელესკოლა“, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გრძელვადიანი იქნება და კორონავირუსის საფრთხის დაძლევის შემდეგაც გაგრძელდება. ახალი პროექტისთვის გამოყენებული იქნება საქართველოს პირველი არხის სხვადასხვა მედიაპლატფორმა – ვებპორტალი 1tv.ge, საქართველოს პირველი არხის Youtube და Facebook გვერდები.

# მნიშვნელოვანი სიახლეები

## რადიო მუზეუმი
## პირველი არხის ახალი გამოწვევა

აკაკი, გალაქტიონი, პაოლო, კონსტანტინე, ივანე ჯავახიშვილი - პირველი არხი მეოცე საუკუნის ხმოვან მატიანეს აცოცხლებს.

აუდიოფონდში დაცულია დაახლოებით 30 000 საათის ჩანაწერი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ XX საუკუნის ხმოვანი მატიანე.

პირველი ჩანაწერები თარიღდება 1901-1902 წლებით, - როცა ინგლისელმა ძმებმა - ფრანც და მაქს ჰამპეებმა თბილისში გოლოვინსკის პროსპექტზე გახსნეს ხმის ჩამწერი სტუდია „გრამაფონი“, სადაც იწერებოდა ქართული ხალხური სიმღერების ნიმუშები.

ფონდში ინახება: აკაკის, გალაქტიონის, პაოლოს, კონსტანტინეს, გოგლას, გრიგოლ რობაქიძის, ივანე ჯავახიშვილის, ილია ვეკუას, მუსხელიშვილის, ბერიტაშვილის, სარაჯიშვილის, ევგენი მიქელაძის, უშანგი ჩხეიძის და სხვა მრავალი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, სპორტსმენის თუ უბრალო ადამიანის, ხმოვანი ჩანაწერი.

აუდიოფონდში ასევე ინახება სხვადასხვა ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწეთა თუ შემსრულებელთა ჩანაწერები, მათ შორის: თომას მანის, განტერ ბელიცის, ჰერბერტ ჰიუგოს, ოლდრიჯის, კერნბახის, კარუზოს, ბენიამინო ჯილის, ჰენრიხ და სტანისლავ ნეიჰაუზების, ლევ და ალექსეი ტოლსტოების, მაიაკოვსკის, კუპრინის, ოისტრახის, რიხტერის და სხვათა, რის გამოც ჩვენი ფონდი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს.

ამ პროექტის მიზანია, სხვადასხვა მატარებლებიდან გაიციფროს, შეიქმნას ელექტრონული კატალოგი და განთავსდეს ჩვენი ტელევიზიის ვებგვერდზე, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ქართული საზოგადოებისთვის.

ამ ჩანაწერებს აქვს როგორც ისტორიული ისე შემეცნებითი, აღმზრდელობითი, ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობა; ის ჩვენი ხალხის კულტურული საგანძურის მნიშვნელოვანი ნაწილია.

პროექტი მომზადების ეტაპზეა და პირველი არხი მას უახლოეს მომავალში შესთავაზებს მაყურებელს.

## პანდემიისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, გადაცემამ „მარტივი ლოგიკა“ ტელეეთერიდან ონლაინში გადაინაცვლა

იანვრის თვიდან, 10 მარტის ჩათვლით, ეთერში გავიდა 15 გადაცემა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-მდე ადამიანმა.

10 მარტის შემდეგ, ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული ვითარების გამო, გადაცემამ სატელევიზიო ეთერიდან ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა. ჩაწერა მიმდინარეობდა ონლაინ (პროგრამა „ზუმის“ გამოყენებით) და მისი განთავსება ხდებოდა გადაცემის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ტრადიციულ დროს - ყოველ ორშაბათს და სამშაბათს 20:00 საათზე. ამ ფორმატის ცვლილებას დიდი მოწონებით შეხვდა მაყურებელი, რაც ნათლად აისახა ონლაინ გადაცემების ნახვის რეიტინგზე. მიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ გადაცემის უწყვეტობამ პოზიტიური გავლენა იქონია მის იმიჯზე და შეგვინარჩუნა ერთგული მაყურებელი.

„მარტივი ლოგიკა“-ის მობილური აპლიკაცია დღეს ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგულია რეგიონში. ეს სტატისტიკა კი, რეალურ საფუძველს ქმნის საზოგადოებრივ მაუწყებელზე წარმოებული პროდუქციის მულტიმედიური განვითარების საერთო მოდელის შესაქმნელად. შესაბამისად 2020 წელს იგეგმება „მარტივი ლოგიკა-2“ თამაშის შექმნა, რომელიც უკვე არა მხოლოდ ანდროიდ და აიოს პლატფორმაზე, არამედ ვებ პლატფორმაზეც იქნება გათვლილი და ჩვენი ერთგული მომხარებელი ფეისბუქითაც შეძლებს თამაშს.

# "ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი" - ყოველკვირეული სახალისო გამოწვევები და უამრავი საჩუქარი გამარჯვებულთათვის

2020 წლის პირველი კვარტალში ეთერში გავიდა 8 გადაცემა. პროექტის პირობის თანახმად, თითოეულმა სტუმარმა მოგებული თანხა მოახმარა ქველმოქმედებას და იზრუნა საქართველოს მომავალი თაობის განათლების დონის გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანის" ეგიდით, გადაცემის მონაწილე ცნობილმა სახეებმა:

- სხვადასხვა რეგიონის 6 საჯარო სკოლას გადასცეს სასკოლო ინვენტარი: ასობით წიგნით შეივსო მათი ბიბლიოთეკები, კომპიუტერული და ციფრული ტექნიკით განახლდა ინფორმაციული ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო კაბინეტები. ასევე სკოლებს გადავეცით ფიზიკური აღზრდისთვის საჭირო ინვენტარი.

- სტუმრებთან ერთად, პროექტი ჩაერთო 2 მცირეწლოვანი ბავშვის სიცოცხლის გადარჩენის აქციაში და მოგებული თანხა სრულად გადაირიცხა მათ ანგარიშებზე.

- 10 მარტიდან ყოველ ოთხშაბათ დღეს დაიწყო ონლაინ გადაცემების გაშვება სოციალურ მედიაში, რომელთა ნახვებმა 1 000 000-ს გადააჭარბა. ასევე, მზადდებოდა ყოველკვირეული სახალისო გამოწვევები და უამრავი საჩუქარი გამარჯვებულთათვის.

## საქართველოს პირველი არხის საბავშვო მუსიკალური პროექტი „რანინა“ იწყება

სიმღერის კონკურსში მონაწილე ათეული უკვე ცნობილია. მიმდინარეობდა მზადება მესამე სეზონის კონკურსისთვის.

## “დოსიე” ონლაინ - დოკუმენტური ფილმები პანდემიაზე

სეზონის განმავლობაში, გადაცემაში “დოსიე” შეეხო მრავალ თემას, ევროპულ ღირებულებებს და მნიშვნელოვან ფასეულობებს. ფილმები გადაღებულია ძირითადად ბოლო წლებში და იქ დასმული საკითხები და პრობლემები იდენტურია ჩვენი ქვეყნის და დროის პრობლემებისა. ყველა ფილმი შეესაბამებოდა საზოგადოებრივი არხის ეთიკის სტანდარტებს. ხელოვნების და დოკუმენტალისტიკის კარგი სინთეზის შედეგად, წამყვანის საავტორო ტექსტი ყოველთვის იყო ერთი დასრულებული პუბლიცისტური ნამუშევარი, არამხოლოდ, კონკრეტულ ფილმზე, არამედ ამ ფილმში მოცემული ეპოქის და დასმული საკითხების მიმოხილვაზე.

## დოკუმენტური სერიალი

11 თებერვლიდან ეთერში ჩაეშვა დოკუმენტური სერიალი „კრიმინალური კარტოთეკა“, 6 სერია.

# სიახლე სპორტულ გადაცემა “ტაიმაუტში”




გადაცემის „ტაიმაუტი“ ერთ-ერთი დღის წამყვანი გახდა ქართული ფეხბურთის ლეგენდა ვლადიმერ გუცაევი - „ტაიმაუტი ვლადიმერ გუცაევთან ერთად“. შესაბამისად, შეიცვალა ამ გადაცემის ფორმატიც.

# “საქართველო 360“

პირველი არხის პროექტი „360“ მიზნად ისახავს ფოტოების საშუალე-ბით საქართველოს ყველა რეგიონის 360-ი გრადუსით წარმოჩენას. პროექტი მზადდება ვებ პლატფორმისთვის.მიმდინარეობდა ტექნიკური სამუშაოები.

# პირველი არხის ანსამბლი “შავნაბადა”

ანსამბლ „შავნაბადასა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

# ახალი და მიმდინარე ამბები

პანდემიამ გავლენა მოახდინა მუშაობის რეჟიმზე, სამაუწყებლო ბადეზე და მაუწყებლობის შინაარსობრივ მხარეზე. გადაცემების, ისევე როგორც საინფორმაციო სამსახურის გამოშვებების ძირითადი თემატიკა კორონავირუსის გავრცელება და მისი პრევენცია, პანდემიით გამოწვეული პრობლემები და ანტიკრიზისული ღონისძიებებია.

ახალი და მიმდინარე ამბების სატელევიზიო პროგრამები „მოამბე 21:00 საათზე“, „მოამბე - დღის თემა“, „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“, „კვირის ინტერვიუ“, „ახალი კვირა“, „თავისუფალი ხედვა“, „პირველი აუდიტორია“, „ტრიბუნა“, „42° პარალელი“, „ბიზნესპარტნიორი“, „ღია სტუდია“, „ტაიმაუტი“, „ესტაფეტა“, „ლეგიონი“ და „მსოფლიოს ამბები“ ორიენტირებული იყო როგორც მიმდინარე, ასევე, ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.
პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“ ფარგლებში კვლავ მაუწყებლობდა აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიები Birinci Kanal (პირველი არხი) და Առաջին Ալիք (პირველი არხი). ორივე არხზე საინფორმაციო გამოშვება ყოველ საათში ერთხელ გადაიცემოდა, ხოლო შემაჯამებელი მოამბე 19:00 საათზე, ყოველდღე, გარდა კვირისა.
აქვე აღსანიშნავია, რომ „მოამბის“ 21-საათიანი გამოშვება სინქრონულად ითარგმნებოდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ციფრული მაუწყებლობის წყალობით, აუდიტორიისთვის „მოამბე“ სამივე ენაზე იყო ხელმისაწვდომი. აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნებოდა პროგრამის “ახალი კვირა” სიუჟეტები.

ასევე, მზადდებოდა ორიგინალური პროგრამები პოზიცია (MÖVQE და Դիրքորոշում), ƏNƏNƏ ÇƏLƏNG (ტრადიციის ბუკეტი), ფერადი სამყარო (Rəngli Dünya), ხაზინა (საგანძური), განძარან (საგანძური), გუნეყ აშხარჰ (ფერადი სამყარო), კვირის რეპორტაჟი და შაბათ ერეკო (შაბათის საღამო).

# ახალი სტუდია

საქართველოს პირველი არხი აგრძელებს მასშტაბურ ტექნიკურ გადაიარაღებას. 2020 წლის დასაწყისში დასრულდა ახალ სტუდიებზე მუშაობა. ახალი და მიმდინარე ამბების სტუდიები აღიჭურვა მაღალტექნოლოგიური აპარატურით და აღჭურვილობით. შესაბამისად, საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“, ასევე ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი და თანამედროვე დიზაინის მქონე სტუდიებიდან მიაწვდის მაყურებელს ობიექტურ, გადამოწმებულ, უტყუარ და ყველაზე სანდო ინფორმაციას საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

# რადიო

FM
საქართველოს
რადიო

## კვარტლის მთავარი გამოწვევა

- რადიოს ეფექტურობის გაძლიერება საგანგებო ვითარების დროს
- რადიოს მოქნილობის გაზრდა და თანამედროვე გამოწვევებზე მორგება
- რადიოს ოპერატიულობის გაზრდა
- მაუწყებლობის ტერიტორების გაზრდა  და ტექნიკური გაუმჯობესება
- კოვიდ-19, ახალი რეალობა და რადიოს გამოწვევები

საქართველოს რადიო ითვალისწინებდა ევროპის მედიაგაიდლაინებს, შეუერთდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაცემულ რეკომენდაციებს და იცავდა რეკომენდირებულ წესებს.

## კვარტლის მთავარი მიღწევა

საქართველოს რადიო ყოველწლიურად უერთდება რადიოს მსოფლიო დღეს. წელს სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნა 13 თებერვალი.
საქართველოს რადიო შეუერთდა ევროპის მაუწყებელთა კავშირის ინიციატივას „ქალები მუსიკაში“. ყველა მუსიკალური გადაცემა და თოქშოუები „პიკის საათი“ და სახლისკენ გამოეხმაურნენ ინიციატივას და გააშუქეს ეს თემა.
საქართველოს რადიო შეუერთდა ევროპის მაუწყებელთა კავშირის მსოფლიო სოლიდარობის აქციას და ევროპის რადიოებთან ერთად, ერთსა და იმავე დროს გააჟღერა სიმღერა ”You'll Never Walk Alone“. ინიციატივას შეუერთდნენ სხვა ქართული რადიოსადგურებიც.
საქართველოს რადიო აქტიურად მონაწილეობდა ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ მსოფლიო პანდემიასთან დაკავშირებით გამართულ ვებინარებში.

## ახალი გადაცემები და რუბრიკები

2020 წლის პირველ კვარტალში დაიწყო ახალი გადაცემა „წიგნის დრო“ წამყვანი დავით გორგილაძე.
გადაცემებში „პიკის საათი“ და „სახლისკენ“ გაითავსდა სპეციალურად საქართველოს რადიოსთვის მომზადებული რუბრიკა - ,,საპრეზიდენტო მარათონი ამერიკაში“
„პიკის საათმა“ მოამზადა რუბრიკა ,,ვისაუბროთ და ვწეროთ ქართულად!“ ამავე რუბრიკის მიხედვით, გადაცემის ფეისბუქ გვერდზე განსათავსებლად ყოველკვირეულად მზადდებოდა ვიდეორგოლები.

## ახალი სტუდია

გრძელდებოდა ლიტდრამ სტუდიის მოდერნიზება, გარემონტება და სააპარატო სტუდიის ახალი აპარატურით აღჭურვა, რათა ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტუდიამ შეძლოს თანამედროვე გამოწვევების დაძლევა და მაღალი ხარისხით ჩაიწეროს თეატრალური, მუსიკალური გადაცემები.

## კოვიდ-19 და რადიოს ბადე

პანდემიის გამო საქართველოში შექმნილმა რეალობამ ზეგავლენა მოახდინა რადიოს ბადეზე. პირველ ეტაპზე, მარტის დასაწყისში, 10-12 მარტიდან, მაქსიმალურად შეიზღუდა გადაცემების რაოდენობა.
სტუმრები ძირითადად ტელეფონით ან სკაიპით ერთვებოდნენ. თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. თუმცა ბადეში შენარჩუნდა ძირითადი თოქ-შოუები.

# საგანგებო გადაცემები

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რადიოს ეთერში დასინქრონდა „პირადი ექიმი - მარი მალაზონია“, საგანგებოდ კოვიდ-19 ინფექციისადმი მიძღვნილი გადაცემა.
ასევე, ეთერში განთავსდა შემეცნებითი და გამაფრთხილებელი რგოლები;
საგანგებოდ ამ პერიოდში მომზადებული გადაცემათა ციკლი „კაცები ზრუნავენ“ სადაც ცნობილი მამები ზღაპრებს კითხულობდნენ.
ეთერში ოპერატიულად გადაიცემოდა კორონა ვირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს განცხადებები.

# აუდიტორიის უკუკავშირი

საანგარიშო პერიოდში პირველი არხი კვლავ ინარჩუნებდა ქართულ ინტერნეტ სივრცეში ლიდერ პოზიციებს, რაც საერთაშორისო მთვლელების მონაცემებითაც დასტურდება (კვლევა, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო მთვლელის alexa.com-ის, youtube.com-ისა და google analytics-ის მონაცემებს. კვლევაში ასევე გამოყენებულია ინსტრუმენტები: socialbacker.com, noxinfluencer.com და socialblade.com).

## ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიკურად ზრდადი იყო ყველა პლატფორმაზე:

### საიტის 1TV.GE სტატისტიკა

| I კვარტალი 2020 | IV კვარტალი 2019 |
|---|---|
| ვიზიტი საიტზე - 15,533,745 | ვიზიტი საიტზე - 20,092,327 |
| უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) – 144,421 | უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) – 99,136 |
| საშუალოდ დღეში ვიზიტი: 170,700 | საშუალოდ დღეში ვიზიტი: 218,395 |
| მაქსიმალური მაჩვენებელი 531,612 (30 მარტი, 2020) | მაქსიმალური მაჩვენებელი 409,160 (29 ოქტომბერი, 2019) |

# YouTube

## სტატისტიკა

| I კვარტალი 2020 | IVკვარტალი 2019 |
|---|---|
| ნახვა - 29,500,000 | ნახვა - 50,200,000 |
| საშუალოდ დღეში ნახვა - 324,176 | საშუალოდ დღეში ნახვა - 545,652 |
| მაქსიმალური მაჩვენებელი - 567,095 (პირველი იანვარი 2020) | მაქსიმალური მაჩვენებელი - 620.661 (18 ნოემბერი, 2019) |

**დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთ-ერთი ლიდერია ქართულ მედიაში.**

**ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი.**

**ვიდეოების საერთო ნახვა - 46,2 მილიონი - წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები გაზრდილია 9.58 %-ით.**

**ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 982,000 - წინა სამ თვესთან შედარებით შემცირებულია 14,4 %-ით.**




## გვერდის საერთო ლაიქების რაოდენობა 323,003 - გაიზარდა 6.5%-ით



საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაციის მონიტორინგის მიზნით, ხორციელდება პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე მონიტორინგის უწყვეტ პროცესს:

- მაუწყებლის ყველა პლატფორმის უწყვეტი მონიტორინგი;
- პროგრამის ტექნიკური დახვეწის პროცესი;
- მონიტორების კოორდინაცია.

მონიტორინგის მასალების დამუშავების და ანალიზის საფუძველზე მომზადდა სხვადსხვა თემების გაშუქების ანგარიშები.

## ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაო რაოდენობრივი კვლევისთვის. მეთოდი - სატელეფონო

### კვლევის ამოცანა :

- ტელე-მაყურებელთა სეგმენტის მოცულობის განსაზღვრა;
- ტელეყურების სიხშირის დადგენა;
- ტელეარხების წილების დადგენა;
- საინფორმაციო გამოშვებების სამომხმარებლო სეგმენტის მოცულობის განსაზღვრა;
- ტელემაყურებელთა აქტიური-პასიური სეგმენტების გამოყოფა დროის კონკრეტულ შუალედებში, ანუ დროითი სლოტების პრიორიტეტიზაცია სამომხმარებლო სეგმენტის მოცულობების მიხედვით;
- საინფორმაციო გამოშვებებისადმი სამომხმარებლო ნდობის იდენტიფიკაცია;
- სეგმენტის დემოგრაფიული პროფილი (ასაკი, სქესი, დასაქმება, საცხოვრებელი ადგილი).

# ჯილდოები

## საქართველოს პირველი არხი საერთაშორისო ჯილდოს „წლის ლიდერი“ მფლობელი გახდა

საქართველოს პირველი არხი შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისა და ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის ერთობლივი საერთაშორისო ჯილდოს „წლის ლიდერი“ (Leader of the year) მფლობელი გახდა. საერთაშორისო ჯილდო საქართველოს პირველ არხს თავის სფეროში მართვის ეფექტიანობისთვის გადაეცა.

## საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტი საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტის მომზადებისთვის დაჯილდოვდა

ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მხარდაჭერითა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) ორგანიზებით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში, მედია კონკურსის „ჟურნალისტები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისთვის“ რიგით მეორე დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიებაზე ხუთი გამარჯვებული გამოვლინდა, მათ შორის, გაიმარჯვა საქართველოს პირველი არხის საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტმა, მანანა გიგინეიშვილმა საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტის მომზადებისთვის.

# იურიდიული სამსახური

# ხელშეკრულებების შესახებ

2020 წლის პირველ კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 193 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

# სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2020 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში:

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 1 | ფ/პ ვახტანგ კანდელაკი | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.<br>- გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში.<br>- ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი |
| 2 | ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.<br><br>- გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ორივე მხარის მიერ სააპელაციო წესით.<br>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.<br>- იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სააპელაციო საჩივარი, განჩინება გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში |

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 3 | ფ/პ ბესიკ შარაშიძე | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.<br>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად,<br>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და<br>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ბ. შარაშიძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.<br><br>- სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დატოვებული იქნა განუხილველად. |
| 4 | ფ/პ გაგა მოდებაძე | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.<br>_ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად,<br>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;<br>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;<br>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს გ. მოდებაძის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.<br>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. |
| 5 | საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო | საჯარო ინფორმაციის გაცემა | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>_ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში<br>- სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. |
| 6 | ფ/პ ლაშა მესხი | 1) შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რითაც განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 1 თვით;<br>2) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გენ. დირექტორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;<br>3) სამსახურში აღდგენა;<br>4) იძულებითი მოცდენის ანაზღაურება;<br>5) პროფკავშირული საქმიანობის და განსხვავებული შეხედულებების გამო მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.<br>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;<br>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;<br>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ლ. მესხის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.<br>დ) ლ. მესხის მიმართ სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი<br><br>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში<br>_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ლ. მესხის სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ კომპენსაციის |

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| | | | დაკისრების ნაწილში.<br>_ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული საკასაციო წესით საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ<br>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა ლ. მესხის სარჩელი, ლ. მესხის მიერ ასევე გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.<br>_ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მხარეთა საკასაციო საჩივრები დატოვებული იქნა განუხილველად. |
| 7 | ფ/პ ავთანდილ ძიძიგური | უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 8 | ფ/პ ნუგზარ რუხაძე | საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |
| 9 | ფ/პ მზია ზაუტაშვილი | სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ,<br>ბათილად იქნა ცნობილი მ. ზაუტაშვილსა და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის დადებული შრომის ხელშეკრულების 2.3 და მე-6 პუნქტები და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 დეკემბრამდე.<br>- გადაწყვეტილება გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში<br>- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.<br>- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ თავის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. |
| 10 | შპს "სტუდია ფონოგრაფი" | სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში. |
| 11 | ალექსანდრე ჯანდიერი | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<br>- ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში. |
| 12 | ალექსანდრე ჟღენტი | პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევების გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით | _ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში |

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 13 | საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-201 მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" დაევალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დაშტრიხული სახით).<br>- იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა საიას სარჩელი, გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.<br>- გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ის გასაჩივრდება საკასაციო წესით |
| 14 | საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 15 | ალექსანდრე ხოჯავა | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა.<br>ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;<br>ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე;<br>გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება.<br><br>_ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში |
| 16 | ია მახარაძე | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ სამუშაოდან გათავისუფლების და კომპენსაციის დაკისრების ნაწილში.<br>- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაწყვეტილება ამ ნაწილში გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში. |
| 18 | საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება | _ მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად.<br>_ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 20 | 1. ალექსანდრე მეტრეველი<br><br>2. გიორგი ბანძავა<br><br>3. დავით სიმონიშვილი | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ<br>ა) ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება;<br>ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა.<br>- გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.<br>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელეთა სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა (გიორგი ბანძავას ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რადგან ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოთხოვნაზე). |

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
| 21 | ნუგზარ ჩხაიძე | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება | - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა კომპენსაციის გადახდა<br>_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა საზოგადოებრივ მაუწყებელს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, ხოლო, ნ. ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და საზოგადოებრივ მაუწყებელს დაევალა ნ. ჩხაიძის სამსახურში აღდგენა.<br>- გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია საკასაციო წესით. |
| 22 | 1. ქეთინო დეკანოზიშვილი<br><br>2. ნათია შენგელია | საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. |
| 15 | ალექსანდრე ხოჯავა | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება | _ ნ. შენგელიასთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:<br>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ნ. შენგელიასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;<br>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ნ. შენგელიას სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.<br><br>_ ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:<br>1. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის ბრძანება ქ. დეკანოზიშვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ;<br>2. საზოგადოებრივ მაუწყებელს დაეკისრა ქ. დეკანოზიშვილის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა.<br><br>- აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში<br>- ქ. დეკანოზიშვილთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რითაც არ დაკმაყოფილდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" და ქ. დეკანოზიშვილის სააპელაციო საჩივრები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს |
| 23 | 1. ლევან გულბანი<br><br>2. ხათუნა ვაშაძე | სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება | _ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სარჩელები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება და საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსარჩელეების მიმართ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა.<br>¬ ¬_ აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში<br>- სააპელაციო სასამართლოში ხ. ვაშაძეს და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" შორის დავა დასრულდა მორიგებით და ხ. ვაშაძეს აუნაზღაურდა შესაბამისი თანხა.<br>- სააპელაციო სასამართლოს გადაწყეტილებით სრულად დაკმაყოფილდა ლ. გულბანის სარჩელი, რაც გასაჩივრებული საკასაციო წესით |

| № | მოსარჩელე | დავის საგანი | საქმის წარმოების სტადია |
|---|---|---|---|
